

სტატისტიკური შეფასების ტიპური შეცდომა – აზროვნების ილუზია, რომელიც ალბათურ-სტატისტიკური შეფასების ვითარებაში ხდება. მაგ. [დ. კანემანი, ა. ტვერსკი]:

I. მონეტის 10-ჯერ აგდებისას ღერბისა და საფასურის მოსვლათა რომელი თანმიმდევრობაა უფრო მოსალოდნელი: ღ-ს-ღ-ღ-ს-ღ-ს-ღ-ღ, ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ს-ს-ს-ს-ს, თუ ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ს-ღ-ღ-ს ?

ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ირჩევს პირველს (შემთხვევითი თანმიმდევრობის ცნების პროტოტიპთან ასოციაციური მსგავსების გამო), თუმცა სინამდვილეში სამივე თანაბრად მოსალოდნელია.

II. აღწერილია უცნობი ადამიანი, რომელსაც აქვს რესპუბლიკელთა დამახასიათებელი რამდენიმე შეხედულება და აგრეთვე მხატვრებისთვის დამახასიათებელი რამდენიმე თვისება. მხოლოდ აქედან გამომდინარე, რომელია უფრო სანდო დასკვნა – რომ ეს უცნობი არის რესპუბლიკელთა მომხრე, თუ რომ ეს უცნობი არის რესპუბლიკელთა მომხრე მხატვარი?

ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ირჩევს მეორე ვარაუდს (კვლავ შესაბამის პროტოტიპთან ასოციაციური მსგავსების გამო), თუმცა სინამდვილეში ის ნაკლებად ალბათურია.

სშტშ-ის მნიშვნელოვანი მაგალითებია: საშუალოსტატისტიკურ მნიშვნელობათა და საერთო განაწილების უგულებელყოფა, ცალკეული თვალშისაცემი შემთხვევების უსაფუძვლო **განზოგადება** (მათ შორის – **სოციალური სტერეოტიპები**); **დეტერმინიზმის** ილუზია – მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა წმინდად შემთხვევით პროცესებში (მათ შორის – **კაუზალური ატრიბუცია**); პროცესების მართვის ილუზია – **სტრატეგიებისა** და დაგეგმვისთვის მეტისმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

სშტშ-ის ფსიქოლოგიური მიზეზები იგივეა, რაც საზოგადოდ აზროვნების ილუზიებისა – **ეგოცენტრიზმი** (პირადი სასურველობა) და აზროვნების **ხატობრივ-ასოციაციური სახე-დონის** სიძლიერე. ხოლო აზროვნების მოქმედების მხრივ მიზეზი ისაა, რომ ადამიანები იყენებენ არა **ლოგიკურ მსჯელობა-დასკვნებს**, არამედ ინტუიციურ **ევრისტიკებს** (ინტუიცია კი მხოლოდ სათანადო დარგის გამოცდილ ექსპერტს აქვს მახვილი და სანდო, ხოლო სხვების ინტუიცია – შესაბამისი კერძო მიმართულებით – განუვითარებელია და სუსტია).